ცნობა
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

<u>31 ივლისი, 2012 წელი</u>

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ **საბაჟო გამშვები პუნქტის „ლაგოდეხი" საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (საკონკურსო განცხადების ნომერი №598)** სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისია:

თავმჯდომარე _____ თამარ მაჭავარიანი

წევრი _____ მარინა მატკავა

წევრი _____ ლევან დვალი

წევრი _____ ოთარ ჩიკვაიძე

წევრი _____ ეკატერინე ძნელაძე

საკონკურსო კომისიის აპარატი:

_____ ირაკლი სიხარულიძე

_____ სოფიკო ვაჩეიშვილი

_____ თორნიკე ხელთუფლიშვილი

საბაჟო გამშვები პუნქტის „ლაგოდეხი“ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი

31.07.2012 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე — თამარ მაჭავარიანი

კომისიის წევრები — მარინა მატკავა, ლევან დვალი

კომისიის აპარატის წევრები — ეკატერინე ძნელაძე, სოფიკო ვაჩეიშვილი, ირაკლი სიხარულიძე, თორნიკე ხელთუფლიშვილი

დღის წესრიგი:

შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვები პუნქტის „ლაგოდეხი“ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის **მიზნით კონკურსში (განცხადების უნიკალური N598) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვა.**

მოისმინეს:

კომისიის აპარატის წევრის, ეკატერინე ძნელაძის გამოსვლა, რომელმაც კომისიის სხდომის დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ კონკურსანტის, **შპს „გილს“-ის** მიერ შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში (2012 წლის 31 ივლისის 14:00 საათამდე) შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 25 ივლისს გამოცხადებულ კონკურსში წარმოდგენილ იქნა საკონკურსო წინადადება.

განიხილეს:

შპს „გილს“-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის დაწესებული საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი და მისი დანართი (რომელიც შედგენილია „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვით) და საკონკურსო წინადადება, რომლის ღირებულება, 36000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარი არ აღემატება კონკურსის სავარაუდო ღირებულებას. ამასთანავე, საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დანართი და ინფორმაცია (ინფორმაცია კონკურსანტის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ), ერთიანი პრეზენტაცია (კონცეფცია, განმარტებითი ბარათი და რენდერები) რეკვიზიტები, საკონკურსო წინადადების ფასი და მომსახურების ხარჯთაღრიცხვა, ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ) შესაბამისობაშია საკონკურსო მოთხოვნებთან, მათ შორის კონკურსანტის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და ცნობა „შემოსავლების სამსახურიდან“ ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ).

ვინაიდან **შპს „გილს“-ის** მიერ საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს კომისიამ იმსჯელა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფციისა და მისი შინაარსის შესახებ. კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფცია და თითოეულმა წევრმა დააფიქსირა თავისი დადებითი შეფასება აღნიშნულთან დაკავშირებით.

კომისიამ დაადგინა:

1. **შპს „გილს“-ის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
2. „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–4 მუხლის მე-3 პუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო პირობების შესაბამისად კომისიის წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **შპს „გილს“**, რომელთანაც არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში უნდა გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

კომისიის თავმჯდომარე /თამარ მაჭავარიანი/

კომისიის წევრი /მარინა მატკავა/

კომისიის წევრი /ლევან დვალი/

კომისიის წევრი /ოთარ ჩიკვაიძე/

კომისიის წევრი /ეკატერინე ძნელაძე/